ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:ბ48. 48223574

თარიღი:23/12/2022

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბუღალტრული აღრიცხვა-

ანგარიშგების შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე.ე" პუნქტის, 61-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" პუნქტის საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 3 ნოემბრის №701 და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2022 წლის 21 დეკემბრის №05 4822355103 მოხსენებითი ბარათის **შესაბამისად:**

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის ინსტრუქცია თანდართული დოკუმენტების შესაბამისად.

2. დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ხელმძღვანელებს უზრუნველყონ ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად დამტკიცებული სააღრიცხვო პოლიტიკის ინსტრუქციის გათვალისწინებით სათანადო ღონისძიებების განხორციელება.

3. დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის არასამეწარმოე (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, ბუღალტრული აღრიცხვა -ანგარიშგების შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის ინსტრუქციის შემუშავება ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინსტრუქციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

4. დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული მხარისათვის ოფიციალური გაცნობა (ოფიციალურ გაცნობად ჩაითვალოს მხარისათვის წინამდებარე ბრძანების ელექტრონული ფორმით, საქმისწარმოების სისტემის საშუალებით მიწოდება).

5. კონტროლს აღნიშნულ ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ.ქუთაისი კუპრაძის ქ. №11) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაში შევიდეს მისი ხელმოწერისთანავე.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გაფორმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი